მოგზაურობა აზროვნების სამყაროში-
აზროვნების ექვსი ქუდი

ავტორი: ლია გიგოლაშვილი

ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის სრული ძალით ამოქმედება არც თუ ისე მარტივი საქმეა. აზროვნების პროცესი საკმაოდ რთულ, ურთიერთსაწინაარმდეგო აზრს, იდეასა თუ ემოციას იტევს. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ადამიანს რაიმე გადაწყვეტილების მიღება უწევს. ამ დროს ზოგჯერ გაურკვეველი განცდა გვეუფლება, ნაცნობია ჩვენთვის ფრაზები-,,არაფერი არ ვიცი, მე ეს არ შემიძლია, ამაზე არც დავფიქრებულვარ....საერთოდ არ ვიცი, რა ვქნა..” ან პირიქით, ვცილობთ, ერთდროულად ყველაფერზე ვიფიქროთ, შედეგად კი უფრო მეტად ვიბნევით, უფრო მეტად გვიჭირს გადაწყვეტილების მიღება. რატომ ხდება ასე? რა ფაქტორები გვიშლის ხელს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში? როგორც დავაკვირდი, აზროვნების პროცესში გამოიკვეთება სამი ძირითადი პრობლემა:

1.ემოციები და გრძნობები-ხშირად, ადამიანი აღელვების პროცესში იღებს გადაწყვეტილებას, რაც ხშირად არასწორია.

2.გაურკვევლობა და ეჭვი-პრობლემის წინაშე მდგარი ადამიანი ყოველთვის განიცდის ეჭვსა და გაურკვევლობას საკუთარი მოსაზრებების მიმართ; ჰგონია, რომ ის სწორი სულაც არაა.

3.დაბნეულობა-ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის გაანალიზებისას, პრობლემის სხვადასხვა კუთხით განხილვის დროს, ადამიანი იბნევა, ამიტომ მისი გადაწყვეტილება ვერ არის კონსტრუქციული.

განსაკუთრებით ეს კარგად იგრძნობა გაკვეთილის მიმდინარეობისას, აზროვნების პროცესში. როცა მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან საკუთარი აზრები,შეხედულებები, გამოხატონ ემოციები. აი, აქ იჩენს ხოლმე თავს გაურკვევლობები, მორიდება- აზრის საჯაროდ გამოხატვა, ორჭოფობა და სხვა მრავალი დაბრკოლება. დასახელებული პრობლემების დაძლევაში ვფიქრობ, რომ დაგვეხმარება ედვარდ დე ბონოს მიერ შემუშავებული საინტერესო მეთოდი ,,აზროვნების ექვსი ქუდი”, გაანალიზების პროცესში მყოფი მოსწავლე განსხვავებული ფერების ქუდის მოსინჯვისას თითქოს სხვადასხვა როლში შედის და პრობლემას მრავალი კუთხით განიხილავს:

თეთრი ქუდის მფლობელი -მეცნიერის თვალით;

წითელი ქუდის მფლობელი-მხატვრის თვალით;

ყვითელი ქუდის მფლობელი-ოპტიმისტი ადამიანის თვალით;

შავი ქუდის მფლობელი-კრიტიკოსის თვალით;

მწვანე ქუდის მფლობელი-შემოქმედის თვალით;

ლურჯი ქუდის მფლობელი კი გახლავთ ლიდერი და პროცესის წამყვანი.



ჯგუფებში მუშაობისას მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, სხვადასხვა კუთხიდან დაინახონ პრობლემა და მოძებნონ მისი გადაჭრის განსხვავებული გზები. შემოგთავაზებთ დასახელებული მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის სრულ გეგმას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამუშავების დროს გადავწყვიტე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავის („ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა„) გავლის შემდეგ მომესინჯა, ახალი მეთოდით ჩამეტარებინა გაკვეთილი. მოცემული გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს არგუმენტირებულად ემსჯელათ პრობლემურ საკითხზე, განეხილათ იგი სხვადასხვა კუთხით, ეფიქრათ და მოეძებნათ პრობლემის გადაჭრის განსხვავებული ვარიანტები ტექსტის გათვალისწინებით, დაეკავშირებინათ დღევანდელობასთან. მოცემული მეთოდით ჩატარებული გაკვეთილი ძალიან საინტერესოდ, ლოგიკური თანმიმდევრობით წარიმართა. პროცესში ჩართული იყო ყველა მოსწავლე, მათ კითხვების დახმარებით ადვილად, უპრობლემოდ შეასრულეს დავალებები მას შემდეგ, როცა მოირგეს ამა თუ იმ ფერის ქუდი.

გაკვეთილის თანმიმდევრობა:

1 აქტივობა– მე-10 კლასის მოსწავლეები გაკვეთილის დასაწყისში დავყავი ჯგუფებად ბარათების დახმარებით. სულ ხუთი ჯგუფი დამჭირდა. (პატარა ბარათებზე დაწერილი მქონდა ციფრები 1, 2, 3, 4, 5, თითოეული იყო ხუთი ეგზემპლარი. თითო ჯგუფში ხუთი მონაწილე აღმოჩნდა. ბარათები მოსწავლეებმა შემთხვევითი პრინციპით ამოიღეს ერთ-ერთი ფერის ქუდიდან.)

2 აქტივობა- გაკვეთილის მიზანი, ასევე შეფასების რუბრიკაც დასაწყისშივე გავაცანი დეტალურად.

3 აქტივობა– ავუხსენი მეთოდის არსი, მივაწოდე დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი თანმიმდევრობით წარიმართებოდა გაკვეთილი.

4 აქტივობა- გრაფიკული ორგანაიზერით გავახსენე ის თავი, რომელიც განხილვისას მჭირდებოდა. ეს გახლავთ სქემა ,მოთხრობის რუკა„ -მისი



მოთხრობის რუკა
ვარიანტი 2

მოსწავლე ______________________
თარიღი ______________

ვითარება	დრო	ადგილი

პერსონაჟი

პრობლემა

მოქმედებები

პრობლემის გადაწყვეტა:

საშუალებით გამოვყავით მოცემული ეპიზოდის პრობლემაც.

5 აქტივობა. ჯგუფები როლში ჩავაყენე ანუ დავურიგე ქუდები (ჯგუფის წევრებმა ისინი შემთხვევითი პრინციპით ამოიღეს ფუთიდან), დავურიგე ინსტრუქციები, ასევე კითხვები და ჯგუფებში მუშაობის დროც განვუსაზღვრე.

თეთრი ქუდის მფლობელების ინსტრუქცია (მეცნიერები)-თქვენ ყურადღება უნდა გაამახვილოთ პრობლემაზე წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით. გაანალიზეთ მხოლოდ ტექსტიდან ხელმისაწვდომი ფაქტები, მოძებნეთ ინფორმაცია, რომელიც გაკლიათ სრული ანალიზისთვის. დახმარებისთვის გამოიყენეთ კითხვები:

- **რა იცით მოცემულ საკითხზე? (დასახელებულ პრობლემაზე)**
- **თქვენი მოსაზრება რა კონკრეტულ ფაქტებს/ინფორმაციას ეფუძნება?**
- **რა სახის ინფორმაცია გჭირდებათ ანალიზის დასასრულებლად? სად შეიძლება ამ ინფორმაციის მოძიება/მიღება?**

სიტუაციის შეფასებისას უნდა იყოთ აბსოლუტურად მიუკერძოებლები, ისაუბრეთ მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, არ გამოხატოთ არანაირი ვარაუდი და ემოცია.

წითელი ქუდის მფლობელების ინსტრუქცია (მხატვრები)- ამ ქუდის მორგებისას შეეცადეთ გამოხატოთ თქვენი ემოციები, შეგრძნებები. ისაუბრეთ შემდეგზე:

- **რა ემოცია, გრძნობები გაგიჩნდათ დასახელებული პრობლემის/ფაქტის მიმართ?**
- **როგორია თქვენი ვარაუდები?**
- **რას გეუბნებათ ინტუიცია?**
- **რა ეჭვები გაგიჩინათ ამ საკითხზე ფიქრმა?**

შეეცადეთ იყოთ გულწრფელები, არ არის საჭირო საკუთარი ემოციებისა თუ გრძნობების გამართლება.

ყვითელი ქუდის მფლობელების ინსტრუქცია (ოპტიმისტები)- დააფიქსირეთ მოცემული პრობლემის/მომხდარი ფაქტის მხოლოდ დადებითი, პოზიტიური მხარე. დაფიქრდით, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამ საკითხის განხილვამ. ისაუბრეთ:

- **რა არის ამ პროცესში პოზიტიური?**
- **რა დადებითი მხარე აქვს განსახილველ პრობლემას?**
- **რა არის მოვლენების ყველაზე ხელსაყრელი შედეგი?**
- **რატომ ღირს ამ საკითხებზე დაფიქრება?**

შეეცადეთ დადებითი მხარე იპოვოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ტექსტში/ეპიზოდში არაა. ეცადეთ, გაამართლოთ პერსონაჟი.

შავი ქუდის მფლობელების ინსტრუქცია (კრიტიკოსები)- ეს როლი ყვითელი ქუდის საპირისპიროა. ეცადეთ გამოავლინოთ დასახელებული პრობლემის ნაკლი, უარყოფითი მხარე. ისაუბრეთ:

- **რა იყო ამ სიტუაციაში არასწორი?**
- **რატომ არ უნდა გააკეთო ასეთი რამ?**
- **რა ცუდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას სხვაზე?**
- **რა არის ამ მოვლენის ყველაზე ცუდი, არასახარბიელო შედეგი?**

შეეცადეთ მაქსიმალურად გააკრიტიკოთ ეპიზოდში მოცემული პერსონაჟის ქმედება/საქციელი.

მწვანე ქუდის მფლობელების ინსტრუქცია (შემოქმედები)- სცადეთ პრობლემის მიღმა შეხედოთ სიტუაციას, განიხილეთ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, ახალი იდეები, ყველაზე გიჟური და პროვოკაციულიც კი. ისაუბრეთ:

- **რა მიგაჩნიათ ეპიზოდში მოცემული პრობლემის გადაჭრის განსხვავებულ გზად?**
- **როგორ შეიძლება პრობლემის სხვა გზით მოგვარება? რას შეცვლიდა ალტერნატიული მოგვარების გზა ნაწარმოებში?**
- **როგორ ფიქრობთ, პრობლემის გადაჭრის რომელი გზაა ყველაზე გიჟური? წარმოუდგენელი?**

შეეცადეთ დაარღვიოთ სტერეოტიპები, იფიქრეთ ჩარჩოს მიღმა, მოძებნეთ პრობლემის გადაჭრის ახალი, პროვოკაციული და გიჟური გზა.

რაც შეეხება **ლურჯ ქუდს,** ამჯერად იგი მე მოვირგე, რადგან პროცესი თავად მიმყავდა. მოსწავლეებისთვის ის არ გამინაწილებია. თუკი თქვენ მოსწავლეს ჩააყენებთ ლიდერის როლში, შეგიძლიათ შემდეგი ინსტრუქციები მისცეთ:

ლურჯი ქუდის მფლობელის ინსტრუქცია (ლიდერი)- ყველაზე მნიშვნელოვანი ლიდერის ქუდია. **ი**გი განსხვავდება ყველა წინა ქუდისგან იმით, რომ არ გამოიყენება საკითხის განხილვისას. მისი მფლობელი წარმართავს დისკუსიას, მართავს მთელ პროცესს, ასევე აყალიბებს მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო გაკვეთილის ბოლოს აჯამებს შედეგებს.

- **აკონტროლეთ მთელი აზროვნების პროცესი და დანარჩენი ქუდები**
- **მიეცით თითოეულ ჯგუფს დავალება, რაც უნდა გააკეთონ**
- **აკონტროლეთ მათი მუშაობის ხარისხი**
- **დაასრულეთ პროცესი შეჯამებით, გამოიტანეთ გადაწყვეტილებები**

6 აქტივობა- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ათანხმებენ აზრებსა და იდეებს, ემზადებიან საპრეზენტაციოდ.

7 აქტივობა- ყველა ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ნააზრევს. სასურველია, პრეზენტატორს ეხუროს ჯგუფის მიერ არჩეული ქუდი. თუკი ვინმე ჯგუფიდან ამატებს რაიმე აზრს, სათქმელს, ქუდს ამჯერად ის მოსწავლე ირგებს.

8 აქტივობა- ჯგუფების პრეზენტაციის შემდეგ გავმართეთ დისკუსია, შევაჯამეთ რამდენად სასიამოვნო, კარგი/რთული იყო აზროვნების პროცესი. მოსწავლეებს დავუსვი შემდეგი კითხვები:

- **როგორი სახის აზროვნება იყო უფრო რთული-პოზიტიური თუ კრიტიკული?**
- **იყო თუ არა ეპიზოდში მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი მოვლენები?**
- **რა მოხდება მაშინ, თუ პრობლემის განხილვისას ჩარჩოებსა და რეგულაციებში მოვექცევით?**
- **რა შეიძლება მოხდეს, თუ პრობლემას მხოლოდ ერთი კუთხით შევხედავთ და განვიხილავთ?**
- **რა გვასწავლა დღევანდელმა გაკვეთილმა?**
- **რომელი ქუდი აღმოჩნდა თქვენთვის საინტერესო? რთული? უჩვეულო?**
- **რომ მომეცა უფლება, შეიცვლიდით თუ არა ქუდს ანუ პოზიციას?**

ფაქტობრივად, მოსწავლეებმა გაკვეთილის ბოლოს გაკვეთილიც შეაფასეს და საკუთარი თავიც .

9 აქტივობა- გაკვეთილის ბოლოს რუბრიკის მიხედვით შევაფასე ჯგუფების მუშაობა და საერთო შედეგებიც. დავალებად კი მივეცი დაეწერათ ესე – **რამდენად იყო სამართლიანობის აღდგენა ნესტანისა და ტარიელის გადაწყვეტილება სასიძოს მოკვლის შესახებ?**